ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №7351239

ნომერი: AR11072543

თარიღი : 02.01.2025

გაცემის თარიღი : 21.01.2025

გაცნობის თარიღი : 21.01.2025

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა შარტავა , N 43 , (ნაკვეთი N15/69);

დამკვეთი-განმცხადებელი

- ივანე მირცხულავა პ/ნ 01024058204
- თბილისი შ.ნუცუბიძის ფერდ IV მ/რ კორ. 18 ბ. 133

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 6 აგვისტოს №7168046 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2025 წლის 2 იანვარს №AR11072543 განცხადებით მომართა ივანე მირცხულავამ და მოითხოვა სამსახურის 2024 წლის 6

აგვისტოს №7168046 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2024 წლის 6 აგვისტოს №7168046 ბრძანებით, №01.10.13.015.069 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, შეთანხმდა მრავალფუნქციური კომპლექსის (,,B" ბლოკის "A" და "B" კორპუსები) კორექტირებული კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა, მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2024 წლის 6 აგვისტოდან 2024 წლის 6 დეკემბრის ჩათვლით.
სამსახურის 2024 წლის 5 დეკემბრის №7310449 ბრძანებით გასწორდა ტექნიკური შეცდომა სამსახურის 2024 წლის 6 აგვისტოს №7168046 ბრძანებაში და საცხოვრებელ ფართობად დაფიქსირდა 20947.3 კვ.მ., კომერციულ ფართობად - 2035.7 კვ.მ., საზაფხულო ფართობად - 3620.7 კვ.მ., კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად - 3117.9 კვ.მ., დამხმარე ფართობად - 1089.2 კვ.მ., ავტოსადგომის ფართობად - 3241.4 კვ.მ., საერთო ფართობად - 34052.2 კვ.მ. ხოლო, შეთანხმებული ±0.00 (4-3 გვერდები), +12.30, +22.20, +35.40, +38.70, +42.00, +45.30, +55.20 და +58.50 ნიშნულების გეგმები ჩანაცვლდა 2024 წლის 19 ნოემბრის №AR11066802 განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველით წარმოდგენილი ამავე ნიშნულების გასწორებული გეგმებით.
განმცხადებლის განმარტებით, სამსახურის 2024 წლის 6 აგვისტოს №7168046 ბრძანებაში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა, კერძოდ ითხოვს ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დამხმარე ფართობად 1089.2 კვ.მ-ის ნაცვლად 1126.6 კვ.მ-ის, ხოლო საერთო ფართობად 34052.2 კვ.მ-ის ნაცვლად 34089.6 კვ.მ-ის დაფიქსირებას. ამასთან, განმარტავს, რომ ±0.00 ნიშნულის გეგმაზე გამორჩენილი იყო კიბის უჯრედები, ხოლო +15.60 ნიშნულის გეგმაზე №44 ბინის საცხოვრებელი ფართობი არასწორად იყო დაფიქსირებული.
სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და შეცვლილი დამხმარე ფართობი შეადარა შეთანხმებულ გეგმა - ნახაზებს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი დამხმარე და საერთო ფართობი, არასწორი დაჯამების გამო. სამსახურმა, ასევე, დაადგინა, რომ შეთანხმებული გეგმები არ იცვლება, უბრალოდ ხდება წარმოდგენილ გეგმებზე ფართობების დაზუსტება და ტექნიკური შეცდომების გასწორება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური შეცდომა.
შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 6 აგვისტოს №7168046 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,
ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 6 აგვისტოს №7168046 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებში დამხმარე ფართობად დაფიქსირდეს - 1126.6 კვ.მ., საერთო ფართობად - 34089.6 კვ.მ.
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 6 აგვისტოს №7168046 ბრძანებით შეთანხმებული ±0.00 ნიშნულის, ანტრესოლის სართულისა და +15.60 ნიშნულის გეგმები ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველით წარმოდგენილი ამავე ნიშნულების/ანტრესოლის სართულის გასწორებული გეგმებით.
3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 6 აგვისტოს №7168046 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 6 აგვისტოს №7168046 და 2024 წლის 5 დეკემბრის №7310449 ბრძანებებთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.